



# საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 289 2021 წლის 16 ივნისი ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ზოგიერთი კომუნალური მომსახურების ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ზოგიერთი კომუნალური მომსახურების ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 03/08/2015, 280120000.10.003.018767) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო

კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ ადმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახებისათვის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისა), რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე (შემდგომში - სოციალურად დაუცველი ოჯახები), მოხმარებული ელექტროენერჯისთვის, დახმარების სახით, განხორციელდეს სუბსიდირება, შემდეგი პირობებით:

1. თუ სოციალურად დაუცველი ოჯახები 2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეებში (თითოეული თვისათვის) (ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოიხმარენ 200 კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერჯიას, მაგრამ არა უმეტეს 301 კილოვატსაათისა, მოხმარებული ელექტროენერჯისთვის, დახმარების სახით, განხორციელდება 2020 წლის დეკემბრის თვესა და 2015 წლის ივლისის თვეში შესაბამისი საფეხურისათვის მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობის სუბსიდირება.

2. თუ სოციალურად დაუცველი ოჯახები 2021 წლის მარტის, აპრილის, მაისისა და ივნისის თვეებში (თითოეული თვისათვის) (ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოიხმარენ 301 კილოვატსაათს ან ნაკლები მოცულობის ელექტროენერჯიას, მოხმარებული ელექტროენერჯისთვის დახმარების სახით განხორციელდება 2020 წლის დეკემბრის თვესა და 2015 წლის ივლისის თვეში შესაბამისი საფეხურისათვის მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობის სუბსიდირება.

3. თუ სოციალურად დაუცველი ოჯახები 2021 წლის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში (თითოეული თვისათვის) (უფლებამოსილი კომპანიის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოიხმარენ 301 კილოვატსაათს ან ნაკლები მოცულობის ელექტროენერგიას, სარგებლობენ უნივერსალური მომსახურებით და ამავე დროს ამ უნივერსალური მომსახურების მიწოდებლისათვის კომისიის მიერ შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილი უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი („უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი“) მეტია 2015 წლის ივლისის თვეში შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფზე, დახმარების სახით, სუბსიდირება განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) თუ „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი“ მეტია ან ტოლია 2020 წლის დეკემბრის თვეში შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფზე, სუბსიდიის თანხა შეადგენს 2020 წლის დეკემბრის თვესა და 2015 წლის ივლისის თვეში შესაბამისი საფეხურისათვის მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობას;

ბ) თუ „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი“ ნაკლებია 2020 წლის დეკემბრის თვეში შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფზე, სუბსიდიის თანხა შეადგენს „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფსა“ და 2015 წლის ივლისის თვეში შესაბამისი საფეხურისათვის მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობას.

4. თუ სოციალურად დაუცველი ოჯახები 2021 წლის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში (თითოეული თვისათვის) (უფლებამოსილი კომპანიის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოიხმარენ

301 კილოვატსაათს ან ნაკლები მოცულობის ელექტროენერგიას, რომელსაც შეისყიდიან თავისუფალ მიმწოდებელთან დადებული მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე და „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფსა“ და თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გაწეული მომსახურების საფასურს შორის უმცირესი სიდიდე აღემატება 2015 წლის ივლისის თვის შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფს, დახმარების სახით, სუბსიდირება განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) თუ „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი“ და ამავე დროს თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების საფასური მეტია ან ტოლია 2020 წლის დეკემბრის თვეში შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფზე, სუბსიდის თანხა შეადგენს 2020 წლის დეკემბრის თვესა და 2015 წლის ივლისის თვეში შესაბამისი საფეხურისათვის მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობას;

ბ) თუ თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების საფასური ნაკლებია „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფზე“ და ამავე დროს ნაკლებია 2020 წლის დეკემბრის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობის შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფზე, სუბსიდის თანხა შეადგენს თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გაწეული მომსახურების საფასურსა და მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის შესაბამისი საფეხურისათვის 2015 წლის ივლისის თვეში მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობას;

გ) თუ „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი“ ნაკლებია თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გაწეული მომსახურების საფასურზე და ამავე დროს

ნაკლებია 2020 წლის დეკემბრის თვეში შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფზე, სუბსიდის თანხა შეადგენს შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილ „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფსა“ და 2015 წლის ივლისის თვეში მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობას.

5. თუ სოციალურად დაუცველი ოჯახები 2021 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისისა და ივნისის თვეებში (თითოეული თვისათვის) (ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოიხმარენ 301 კილოვატსაათზე მეტი მოცულობის ელექტროენერჯიას, თითოეულ თვეს (ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოხმარებული ელექტროენერჯისთვის დახმარების სახით განხორციელდება საანგარიშო თვეში (ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფსა და 2015 წლის ივლისის თვეში მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობის სუბსიდირება.

6. თუ სოციალურად დაუცველი ოჯახები 2021 წლის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში (თითოეული თვისათვის) (ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოიხმარენ 301 კილოვატსაათზე მეტი მოცულობის ელექტროენერჯიას და სარგებლობენ უნივერსალური მომსახურებით, თითოეულ თვეს (უფლებამოსილი კომპანიის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოხმარებული ელექტროენერჯისთვის, დახმარების სახით, განხორციელდება საანგარიშო თვეში (ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტის მიერ გაცემულ

შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) ელექტროენერჯის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფსა და 2015 წლის ივლისის თვის შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფს შორის სხვაობის სუბსიდირება.

7. თუ სოციალურად დაუცველი ოჯახები 2021 წლის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში (თითოეული თვისათვის) (ელექტროენერჯის მიმწოდებლის მიერ გაცემულ შესაბამისი თვის ქვითარში მითითებულ აღრიცხვის პერიოდში) მოიხმარენ 301 კილოვატსაათზე მეტი მოცულობის ელექტროენერჯას, რომელსაც შეისყიდიან თავისუფალ მიმწოდებელთან დადებული მიწოდების ხელშეკრულების საფუძველზე და „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფსა“ და თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების ფასს შორის უმცირესი სიდიდე აღემატება 2015 წლის ივლისის თვის შესაბამის საფეხურზე მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფს, დახმარების სახით, სუბსიდირება განხორციელდეს შემდეგი წესით:

ა) თუ თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ფასი ნაკლებია „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფზე“, სუბსიდის თანხა შეადგენს თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების ფასსა და მოხმარებული ელექტროენერჯის მოცულობის შესაბამისი საფეხურისათვის 2015 წლის ივლისის თვეში მოქმედ ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობას;

ბ) თუ „უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფი“ ნაკლებია თავისუფალ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების ფასზე, სუბსიდის თანხა შეადგენს შესაბამისი საფეხურისათვის დადგენილ „უნივერსალური მომსახურების

მიწოდების ტარიფსა“ და 2015 წლის ივლისის თვეში მოქმედ ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფებს შორის სხვაობას.“.

**2. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:**

„3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული სუბსიდირება განხორციელდეს მას შემდეგ, რაც შესაბამისი წყალმომარაგების ლიცენზიანტის მიერ გათვალისწინებული (გამოკლებული) იქნება მუნიციპალიტეტების მიერ სასმელი წყლის/წყალარინების საფასურის ანაზღაურების მიზნით გათვალისწინებული სუბსიდია/შეღავათი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2021 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე (2021 წლის 1 მაისიდან მოხმარებულ ელექტროენერგიასა და წყალმომარაგებაზე).

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი